



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 5 21 0000287965



26/03/2021

**„ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადისთვის“ „დეკორატიული მცენარეების გამრავლების“ პროფესიული
გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული
მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების
მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 5 აგვისტოს №666066 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული
მომზადების/ პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების
მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის
შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადისთვის“ „დეკორატიული
მცენარეების გამრავლების“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების
უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/ პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 5 აგვისტოს №
666066 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

ა) შეიცვალოს ბრძანების სათაური და ჩამოყალიბდეს: „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადისთვის“
„დეკორატიული მცენარეების გამრავლება ღია გრუნტში“ პროფესიული გადამზადების
პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“

ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს
თანდართული რედაქციით (**დანართი**).

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 12 მარტი.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების
უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 26 მარტის №287434 ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ
იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა



დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00461	დეკორატიული მცენარეების გამრავლება ღია გრუნტში	გადამზადება	მესამე	6	ქართული	12	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2
						12	მცხეთის რაიონი, ს. მუხრანი